



**EWUNI**

იურიდიული სამსახურის დებულება



## თავი I

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1

ეს დებულება განსაზღვრავს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) იურიდიული სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

#### მუხლი 2

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტებით.

2. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის კანცლერის წინაშე და ასრულებს მის მითითებებსა და დავალებებს.

## თავი II

### სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

#### მუხლი 3

1. უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს იურიდიული სამსახური. რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის სამართლებრივ მხარდაჭერას, უნივერსიტეტის შიგნით სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებითა და აქტუალური ინფორმაციის მიწოდებით, ასევე ორგანიზაციის გარეთ, სახელშეკრულებო და

სამართლებრივად სადაო საკითხებში უნივერსიტეტის სამართლებრივი წარმომადგენლობის გზით.

2.სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებში მოსამზადებელი ხელშეკრულებების, სამართლებრივი აქტების პროექტების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას და მის სამართლებრივ ექსპერტიზა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის მომზადება.

გ) განათლების სფეროში მიმდინარე ეროვნული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება და აღნიშნული ცვლილებების უნივერსიტეტში იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი.

დ) უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის უფასო სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა საგანმანათლებლო და შრომით ურთიერთობებზე;

ე) უნივერსიტეტის კანცლერის დავალებით პასუხების მომზადება შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული პასუხებისა და კორესპონდენციის სამართლებრივი ექსპერტიზა;

ვ) წარმომადგენლობა უნივერსიტეტის ინტერესების დასაცავად სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში;

ზ) კანცლერის სხვა დავალებების შესრულება

## თავი III

## სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

## მუხლი 4

- 1.სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის კანცლერის წინაშე.
- 2.სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და ამ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის კანცლერი იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.
- 3.სამსახურის შემადგენლობაში შედიან იურისტები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე. მათი ფუნქციები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტითა და სამუშაო აღწერილობით.

## მუხლი 5

1. სამსახურის უფროსი:
  - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
  - ბ)პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
  - ბ)ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და დავალებებს;
  - გ) აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ ფუნქციების შესრულებას;

- დ) პერიოდულად სამსახურის თანამშრომლებისგან ისმენს ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;
- ვ) ანაწილებს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას;
- ზ) უნივერსიტეტის კანცლერს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს;
- თ) უნივერსიტეტის კანცლერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სახელით გასცემს დასკვნებს;
- კ) შუამდგომლობს სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
- ლ) წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## თავი IV

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 6

1. სამსახურის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

2.სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.